დანართი N1

სამაუწყებლო კომპანია შ.პ.ს. ტელერადიო-პრესკომპანია „ზარი“-ს ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

სამტრედია

1 მარტი *2020* წელი.

წინამდებარე ოფერტით განსაზღრულია სამაუწყებლო კომპანია „ზარი“-ს მულტიპლექსპლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“)

„ზარი“-ს ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1. მომსახურება იწარმოება DVB-T სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG2 ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (OFDM Modulation code:2K, 64QAM, Coding rate: 1/2 Guard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 18,9 მგბტ.წამში, SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ. წამისა:
   1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: საქართველო, ქ.სამტრედია, ჯავახიშვილის N8. შ.პ.ს. ტელერადიო-პრესკომპანია „ზარი“-ს სატელევიზიო ანძა.
   1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.
   1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: (IP Stream SD 720/576) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების სისტემა PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალისა და EPG მონაცემებით.
2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:
   2.1 „ზარი“-ს ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს დღგ-ს გარეშე.
3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები.
   3.1 აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
   ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი,
   ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
   გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
   დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა.
4. ოფერტის მოქმედების ვადა,
   4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2020 წლის 01 მარტიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე 2021 წლის 01 მარტამდე.

ოთარ თევზაძე

შ.პ.ს. ტელერადიო-პრესკომპანია „ზარი“-ს /ოთარ თევზაძე/ დირექტორი.